არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირი
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"

„10" იანვარი, 2023 წელი

ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" 2022 წლის წლიური ანგარიში

ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება" წარმოგიდგენთ 2022 წლის განმავლობაში მუშაობის შედეგებს:

2022 წელს ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" ბიუჯეტი შეადგენდა - 3519000 (სამიმილიონ ხუთასცხრამეტი ათასი ლარი) ლარს, აქედან შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა - 2 388 257 (ორი მილიონ სამასოთხმოცდარვაათას ორას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი. ხოლო კვების პროდუქტებზე დაიხარჯა - 609 087 (ექვსასცხრაათას ოთხმოცდაშვიდი) ლარი, კომუნალურ და საოფისე გადასახადებზე დაიხარჯა - 643 620 (ექვსას ორმოცდასამიათას ექვსასოცი) ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში შედის 31 საბავშვო ბაღი, მიმდინარე წელს ფუნქციონირებდა 29 საბავშვო ბაღი, ორ საბავშვო ბაღში: ჭიაური, ჭაბუკიანი მიმდინარეობს მშენებლობა.

2022 წლის 04 აპრილს ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ში შემავალ ყველა საბავშვო ბაღის მენეჯერს, ექთანს, მზარეულს, მზარეულის დამხმარეს ჩაუტარდათ ტრენინგ-კურსი, თემა: საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა (HACCP) ის დანერგვა. HACCP არის სისტემა, რომელიც ადგენს, აფასებს, და აკონტროლებს საფრთხეებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობისათვის.

სერტიფიკატი გადეცა 127 თანამშრომელს. ტრენინგი ორგანიზებული იყო ა.(ა).ი.პ განათლებისა და სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიოების ჰაბის მიერ. აღნიშნული ტრენინგ-კურსის მომსახურება დაფინანსდა ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" მიერ, რომლის ღირებულება შეადგენდა 1 000 (ათასი) ლარს. პროდუქციის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის შეძენილი იქნა ტემპერატურული კონტროლის გამზომი ხელსაწყოები (თერმომეტრები), რომელის ღირებულებამ შეადგინა 2 650 (ორი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი. თერმომეტრები გადაეცათ ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ში შემავალ ყველა საბავშვო ბაღს.

2022 წლის 27 აპრილს ჩატარდა გიორგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში „პასკის ფესტივალი", სადაც მონაწილეობა მიიღო 8 (რვა) საბავშვო ბაღმა (გიორგეთი, აფენი, ბაღდადი, ჭაბუკიანი, ლელიანის N1, ლელიანის N2, გვიმრიანი, არიშფერანი), რომელთაც წარმოადგინეს ხელნაკეთი ნივთები, პასკები. საუკეთესო კუთხის წარმოდგენისათის დაჯილდოვდა ლელიანის N2 საბავშვო ბაღი.

2022 წლის მაისში ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ში შემავალ ყველა საბავშვო ბაღის მზარეულის, მზარეულის დამხმარეებისათვის გაერთიანების მიერ შეძენილი იქნა თეთრი ხალათები, რომლის ღირებულებაა 3 800 (სამი ათას რვაასი) ლარი. (ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის და ჰიგიენის სტანდარტი).

2022 წლის ივნისში ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ შეძენილ იქნა 29 საბავშვო ბაღისთვის სამზარეულოს ჭურჭელი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 17 397 (ჩვიდმეტი ათას სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი.

2022 წლის ივნისში ჩატარდა გეგმიური გამოსაშვები ღონისძიებები ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში შემავალ ყველა საბავშო ბაღში. სასკოლე ასაკის 485 აღსაზრდელს გადაეცა საჩუქრები, რომელის ღირებულებამ შეადგენდა 12 810 (თორმეტიათას რვაასათი) ლარი. (ნაკრების შემადგენლობაში შედის: მაგნიტური დაფა, სასკოლო პენალი, ფერადი ფანქრები, სათვლელი ჩხირები, საანგარიშო ჩოთქი, სახატავი რვეული, საქაღალდე ჩამკეტი ღილაკით. ყველა ეს ნივთი მისაღები და გამოყენებადია პირველკლასელი ბავშვისთვის).

2022 წლის 05-06-07 ივლისს ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში შემავალ 29 საბავშვო ბაღის აღმზრდელ მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: შშმ პირების მხარდაჭერისა და სააღმზრდელო დაწესებულებებში, რთული ქცევით პრობლემებისა და მართვის ეფექტური სტრატეგიების დანერგვა. ტრენინგი ორგანიზებული იყო „მაკ ჯორჯიასა“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

მოგეხსენებათ, რომ საბავშვო ბაღების უფროსი ასაკის ჯგუფებში, მიმდინარეობს სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 5-6 წლის ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას. იგი ხელს უწყობს აღსაზრდელის მრავალმხრივ სრულფასოვან განვითარებას: მოტორული, სოციალური, ემოციური, მეტყველებისა და შემეცნებითი უნარები. აღნიშნული უნარები უზრუნველყოფს ბავშვის ბაღიდან სკოლაში წარმატებულ გადასვლას. გარდა აღნიშნული პროგრამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის თანამშრომლობით, ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა, ადრეული განათლების კურიკულუმი-თამაში. კურიკულუმის მიზანია, დაეხმაროს 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მომუშავე პერსონალს, საგანმანათლებლო პროგრამის შედგენაში, განხორციელებასა და შეფასებაში. სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი – მეთოდური სახელმძრვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის – ადრეული განათლების მეთოდოლოგიას ეხება. მეორე ნაწილში – პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის – მოცემულია პრაქტიკის მაგალითები. აღნიშნული სახელმძღვანელოს პდფ ვერსია დაიბეჭდა და გადაეცა ყველა საბავშვო ბაღს.

2022 წლის 02 აგვისტოს ქ.თელავში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადრეული აღზრდისა და განათლების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების წარდგენის შესახებ“. ტრენინგი ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ტრენინგს დაესწრნენ გაერთიანების დირექტორი - თამრი ბაღაშვილი, მეთოდისტი - მადონა ზანაძე, შესყიდვების სპეციალისტი - მაკა ჯამბურია და იურისტი - ირინა ბეროშვილი.

2022 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში 29 საბავშვო ბაღში დამონტაჟდა დენის ქურის გამწოვები და ფანჯრებზე მწერებისაგან დამცავი ბადეები, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 79 000 (სამოცდაცხრამეტი ათასი) ლარი. ასევე შეძენილ იქნა ხორცსაკეპი მანქანები 31 ცალი საბავშვო ბაღებისთვის, რომლის ღირებულებამ შეადგინა 30 995 (ოცდაათიათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

2022 წლის ოქტომბრის თვიდან (ახალი სასწავლო წლიდან) მოხდა ჭიაურის თემის აღსაზრდელების ტრანსპორტით უზრუნველყოფა სოფელ თამარიანის საბავშვო ბაღში. ჩვენი მიზანია აღსაზრდელებმა გაიარონ სასკოლო მზაობის პროგრამა და მიიღონ სრულფასოვანი მრავალმხრივი განვითარება საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით.

2022 წლის 19 დეკემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით ყველა საბავშვო ბაღში ჩატარდა საახალწლო აქტივობები, 1489 აღსაზრდელს გადეცა საახალწლო საჩუქრები.

ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“

დირექტორი : **თამარი ბაღაშვილი**

2700. ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. №25

ტელ: 599 34 99 32; 599 33 43 38